



საჯარო საგარეო ინფორმაციის  
განათლების ხარისხის განვითარების  
ეროვნული ცენტრი  
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW-  
NATIONAL CENTER FOR  
EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT



MES 5 23 0001693547



11/12/2023

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს,  
ბატონ შალვა პაპუაშვილს

ბატონო შალვა,

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, წარმოგიდგინებ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) 2023 წლის ანგარიშს საჯარო ინფორმაციის შესახებ, კერძოდ:

ა) საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით ცენტრში სულ შემოვიდა 61 (სამოცდაერთი) განცხადება. საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის თაობაზე მოთხოვნა არ შემოსულა, შესაბამისად, უარის თქმის თაობაზე გადაწყვეტილებაც არ მიღებულა. ამჟამად წარმოებაშია 4 განცხადება.

ბ) საჯარო ინფორმაციის გაცემაზე დაკმაყოფილდა 38 განცხადება.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით, 1 განცხადება დარჩა დაუკმაყოფილებელი, რადგან მოთხოვნილი იყო არა საჯარო, არამედ პერსონალური ინფორმაციის გაცემა.

საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარი ეთქვა 18 განმცხადებელს, ვინაიდან, წარმოდგენილი საკითხების შესახებ ინფორმაციის ფლობა/დამუშავება სრულად სცდებოდა ცენტრის კომპეტენციის ფარგლებს.

კოლეგიურ საჯარო დაწესებულებას საკუთარი სხდომის დახურვის შესახებ გადაწყვეტილება არ მიუღია.

აქვე გაცნობებთ, რომ 2015 წლის 10 მარტიდან, ცენტრის დირექტორის №172 ბრძანების საფუძველზე, საჯარო ინფორმაციის გაცემასა და პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია ცენტრის სპეციალისტი - ნინო მეგენიშვილი.

გ) რაც შეეხება საჯარო მონაცემთა ბაზების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის შესახებ მოთხოვნას, მოგახსენებთ, რომ 2023 წლის განმავლობაში ცენტრი არ ფლობდა და არც მიმდინარე პერიოდში ფლობს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლით გათვალისწინებულ საჯარო მონაცემთა ბაზებს. რაც შეეხება პერსონალურ მონაცემებს, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული დამუშავების საფუძვლებისა და პრინციპების შესაბამისად, ცენტრი, საკუთარი სერვისების განხორციელების პროცესში, მათ შორის, ფიზიკური და იურიდიული პირების კორესპონდენციების განხილვის და სხვა უფლებამოსილებების ფარგლებში ამუშავებს პერსონალურ მონაცემებს.

უწყების საქმიანობის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები, ასევე, საჯარო ტიპის ინფორმაცია, რომლებიც შეიცავს პირთა პერსონალურ მონაცემებს, მესამე პირებს გადაეცემათ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.

დ) 2023 წლის საანგარიშო პერიოდში ცენტრის არც ერთი თანამშრომლის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა არ ყოფილა გამოყენებული.

ე) ცენტრს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება, ასევე, სხდომის დახურვის შესახებ გადაწყვეტილება არ მიუღია (საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მიზეზს წარმოადგენდა სწორედ საჯარო ინფორმაციად არმიჩნევა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიხედვით, ან სხვა უწყების კომპეტენცია, რაც ზემოთ იქნა აღნიშნული). ამდენად, რელევანტური საკანონმდებლო აქტების გამოყენების საჭიროებაც არ დამდგარა.

ვ) საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრებას ადგილი არ ჰქონია.

ზ) საჯარო დაწესებულების მიერ ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებები არ გასაჩივრებულა, შესაბამისად, გასაჩივრებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, მათ შორის, მხარის სასარგებლოდ თანხის გადახდას, ადგილი არ ჰქონია. ასევე, კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვის თაობაზე გადაწყვეტილება არ მიღებულა, შესაბამისად, გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯები არ გაწეულა.

პატივისცემით,

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების  
ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის  
შემსრულებელი მარგიშვილი ლაშა

